თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის 14ივნისის
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 10

ქ. თერჯოლა 14 ივნისი 2024 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2.გრიგოლ გიორგაძე, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემურ ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. ომარი ჯიხვაშვილი, 11. ბადრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. მანუჩარ ფანჩულიძე, 15. შალვა ჭანკვეტაძე, 16. ტარიელ ფანჩულიძე, 17. გოჩა ვერულაშვილი, 18. დავით გოგბერაშვილი, 19. კახა ბუცხრიკიძე, 20. ნატალია ასათიანი, 21. თამარ ახვლედიანი, 22. ფრიდონ გვენეტაძე, 23. მერაბი ბასილაძე, 24. რუსუდან კოვზრიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. დავით ცხადაძე, 2. რამინი რობაქიძე, 3. კობა კირკიტაძე, 4. ეკა ბერძენიშვილი, 5. როლანდი მესხი, 6. ივანე ჩუბინიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 24 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის პირველი მოადგილე ზვიად ბაზაძე.

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ⁴⁰ სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციაპლიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკმბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282416268 წერილი, 10.06.2024წ);

/მომხს. თ.ქოჩიაშვილი/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282416249 წერილი, 10.06.2024 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

3. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 თებერვლის N გ-29. 2923045001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ; (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282416580 წერილი, 13.06.2024 წ);

/მომხს. ბ.ბუცხრიკიძე/

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. N109-ში მდებარე მერიის შენობის (ს.კ. 33.09.45.949) პირველ სართულზე არსებული 28.16 ფართი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცეს ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს.) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282416363 წერილი, 11.06.2024 წ).

/მომხს. ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციაპლიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკმბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა არ შეცვლილა და შეადგენს 30869.7 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 160.0 ათასი ლარით (გრანტი საკუთარი შემოსავლები).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 160.0 ათასი ლარით (გრანტი ფონდებიდან გამოყოფილი).

ხარჯვითი ნაწილი შემმცირდა 60.0 ათასი ლარით.

მერიის დაფინანსება შემცირდა 60.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 60.0 ათასი ლარით მ/შორის.

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 60/0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: კახა ბუცხრიკიძე - ნაციონალური მოძრაობა მხარს არ უჭერს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -17 , წინააღმდეგი - 7

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციაპლიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკმბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №11, 14.06.2024წ).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია - ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 200,0 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 30869,9 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 200,0 ათასი ლარით (გარნტი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 200,0 ათასი ლარით.

გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 200,0 ათასი ლარით: სოფ. ნახშირღელეში ხორხის უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის დაფინანსება გაიზარდა 200,0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ“ ინფორმაცია.

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 თებერვლის № გ-29. 2923045001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ -პროექტების ნუსხას დაემატა 11 პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 თებერვლის № გ - 29.2923045001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება: № გ-29. 2924166001; 14/06/2024).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109-ში მდებარე მერიის შენობის (ს.კ. 33.09.45.949) პირველ სართულზე არსებული 28.16კვ.მ ფართი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცეს ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს.)

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29241662; 14/06/2024).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 ივნისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი